ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №13 სხდომის

ო ქ მ ი

ქ. თბილისი 30.05.2008 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
კახაბერ ლორია;
სხდომის მდივანი – სოფიო ქვარცხავა;

სხდომას ესწრებოდნენ:

წარმომადგენლობითი საბჭოს 19 წევრი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი გიორგი ხუბუა;
(დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა განაცხადა:

დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცება. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ზემოაღნიშნულ წესს შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

ვინ არის თანახმა დღის წესრიგის საკითხი მივიღოთ?

დღის წესრიგს მხარი დაუჭირა წარმომადგნლობითი საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა და იგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცება.

ზემოაღნიშნულ საკითხზე აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორმა გიორგი ხუბუამ.
საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია.

აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

დამანა მელიქიშვილი: "წარმოდგენილ წესში კარგად არ ჩანს თუ რა პრინციპით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია უნდა იქმნებოდეს დარგობრივი პრინციპით. კონკურსები კი უნდა ცხადდებოდეს პროგრამების მიხედვით".

ზურაბ ფადავა: "მთლიანობაში დადგენილება მისაღებია, მაგრამ სამედიცინო დარგში მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მიექცეს კლინიკურ კვლევებს".

რევაზ გოგშელიძე: "სამართალმცოდნეობაში გადამწყვეტი არ უნდა იყოს კონკურენტის მიერ საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. იურისტი ამის გარეშეც შეიძლება იყოს კარგი პროფესიონალი".

ზურაბ ძლიერიშვილი: "უნაკლო კრიტერიუმების შემუშავება შეუძლებელია. ეს დადგენილება მთლიანობაში გამართულია და აზრობრივადაც კარგად ჩამოყალიბებული".

გიორგი გოგსაძე – "ვფიქრობ მე-3 მუხლი და მე-13 მუხლი ერთმანეთთან თანხმობაში არ მოდის და უკეთაა ჩამოსაყალიბებელი. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული კონკურსანტების მიერ პუბლიკაციების წარმოდგენა".

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა წევრებმა: თათია მუავანაძემ, ცირა ბარამიძემ, თამარ გაგოშიძემ და დავით კერესელიძემ.

საკითხის განხილვა შეაჯამა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ: "მიუხედავად იმისა, რომ სენატის წევრებმა არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს, სასურველი იქნება სადაოდ არ გავხადოთ აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება და დავამტკიცოთ იგი წარმოდგენილი ფორმით".

საკითხი დაისვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 4

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების წესი.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — სოფიო ქვარცხავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 91 "28" ივნისი 2008 წ.

დადგენილება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. თსუ სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის და სულ მცირე 3 წევრის შემადგენლობით.

2. თსუ სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:
   ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
   ბ)პირადობის მოწმობის ასლი ;
   გ) ავტობიოგრაფია (CV);
   დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
   ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
   ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ)ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს.

3. კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა ან პროექტებში მონაწილეობა;

ბ) მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

4. თსუ ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ)პირადობის მოწმობის ასლი ;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამოტივაციო წერილი.

5. თსუ სრულ ან ასოცირებულ პროფესორად 3 სამი წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება.

6. თსუ ასისტენტ პროფესორად 2 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი.

7. საკონკურსო კომისიას ქმნის თსუ რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში:
ა)შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
ბ)მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;
გ)მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.

9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.

10. საკონკურსო კომისია დასკვნას ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით.

11. სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს რექტორი.

12. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

13. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია გაითვალისწინოს კონკურსანტის აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო პუბლიკაციები და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა.

14. სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ აკადემურ თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება საბუთების მიღებამდე არაუგვიანეს ერთი და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე.

15. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდეს გაზეთ « თბილისის უნივერსიტეტში » და განთავსდეს თსუ ელექტრონულ გვერდზე.

გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი